პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი ოთხშაბათი 27 ივნისი № 147 (17492) ფასი 2 კაპ.

ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ

26 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებისათვის საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

კრებაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრები, საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის იდეოლოგიურ მუშაკთა ფართო აქტივი, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები იდეოლოგიის დარგში, პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეები, მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ორგანოების ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, იდეოლოგიური დაწესებულებების, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციების მდივნები, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები და პროორექტორები იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში, უმაღლესი სასწავლებლების, სახალხო განათლების სისტემის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლები, პროპაგანდისტები, პოლიტინფორმატორები, აგიტატორები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი საჰაერო ოლქის, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენლები.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჟვანია, ს. ე. ხაბეიშვილი, გ. ვ. ადლეიბა, შ. ს. სანაკოევი, შ. კ. შარტავა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები ვ. თ. პრავოტოროვი და ვ. ა. კოროგოეინიკოვი.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. ადლეიბა, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ვ. გურგენიძე, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ჯ. ი. გუგუჩია, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. ა. გუგუნავა, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ელექტრომემონტაჟეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი გ. ა. მეტონიძე, საქართველოს კომპარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. თ. კოზაევი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. ს. ფრანგიშვილი, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რ. მ. გიორგაძე, კავკასიის რკინიგზის საპროექტო ინსტიტუტის თბილისის ფილიალის ხელოვნურ ნაგებობათა განყოფილების მთავარი კონსტრუქტორი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს პარტბიუროსთან არსებული საერთაშორისო ურთიერთობის სემინარის ხელმძღვანელი ა. ა. შაბანოვი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. მ. ოვერჩუკი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ნ. ვ. დუდაბაძე, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. ა. ბაკაურიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი რ. ბ. ბოროდეზინი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. დ. ჭინჭარაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. კ. შარტავა, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ნ. შ. ვასაძე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი ბ. ვ. ბედინეიშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. ვ. თაძთაძიშვილი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ბ. შ. ორჯონიკიძე.

კრებამ მიიღო დადგენილება და „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად ძირითად ორგანიზაციულ და მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა გეგმა.

(საქინფორმი).

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

26 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XVI პლენუმი, რომელმაც განიხილა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებათა გეგმა.

ინფორმაცია გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმმა დაამტკიცა პარტიული აქტივის კრების დადგენილება და მოიწონა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძირითად ორგანიზაციულ და მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა გეგმა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები ვ. თ. პრავოტოროვი და ვ. ა. კოროგოეინიკოვი. (საქინფორმი).

ᲛᲣᲨᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ

XXXIII ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ამხანაგებო, პატივცემულო სტუმრებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის სახელით და პირადად გულითადად მივესალმები ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXIII სხდომის მონაწილეებსა და სტუმრებს.

30 წლის წინათ მთელი რიგი მოძმე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ინიციატივით ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს შექმნამ დასაბამი მისცა მრავალმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის პრინციპულად ახალი მეთოდების კოლექტიურ ძიებას. ახლა კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში ყალიბდება და მტკიცდება შრომის სოციალისტური ტიპის საერთაშორისო დანაწილება. ამან ხელი შეუწყო სოციალისტური თანამეგობრობის, როგორც მსოფლიოში ყველაზე დინამიკური, მყარი და პროგრესული ეკონომიკური ძალის განვითარებას. ამ გზაზე ბევრი რთული ამოცანის გადაწყვეტა, სიძნელეების დაძლევა მოგვიხდა. ისევე როგორც ყველა ცოცხალ საქმეში, ეს სიძნელეები ახლაც არის. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობა, მისი მუშაობის მექანიზმი, უთუოდ, დაიხვეწება. მაგრამ უკვე ბევრი რამ არის მიღწეული. შედგენილი გეგმაქვს საარსებო სამეურნეო ამოცანების შეთანხმებული გადაწყვეტის დიდი დადებითი გამოცდილება. სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია ჩვენი თანამეგობრობის ცხოვრების განუყოფელ ნიშან-თვისებად, მომძე ქვეყნების ყოველმხრივი პროგრესის მძლავრ და სტაბილურ ფაქტორად გადაიქცა.

ალბათ ეს არის ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის მთავარი პოლიტიკური შედეგი განვლილი 30 წლის მანძილზე და განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში, რომელსაც ანასკოთებს საბჭოს სესიის სპეციალური XXIII სხდომის კომპლექსურ პროგრამაში ხორცშესხმული სტრატეგიული გადაწყვეტილებების განხორციელება. სწორედ 70-იან წლებში განსაკუთრებით ფართოდ გამოვლინდა შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილების ძირითადი უპირატესობანი.

მკაფიოდ გამოვლინდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის სოციალური მიმართულება, ის, რომ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მთელი სისტემა ექვემდებარება მშრომელთა ინტერესებს, სოციალიზმის ძირითადი მიზნის რეალიზაციას — ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

სწორედ ამიტომ არის, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის ძირეული პრობლემები, მისი შემდგომი გაღრმავების პერსპექტივები მუდამ ჩვენი მომძე ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და მთავრობების ყურადღების ცენტრშია.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების განვითარების სოციალური შედეგი მარქსიზმ-ლენინიზმის ინტერნაციონალური იდეების ძალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დადასტურებაა, რომლებიც, როგორც ვიცით თავიდანვე დაედო საფუძვლად ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობას. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში ისტორიაში პირველად განხორციელდა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ნამდვილი დემოკრატიზაცია. თანასწორუფლებიანობა, ნებაყოფლობა, სუვერენიტეტი, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, ურთიერთსარგებლობა და ურთიერთდახმარება — ეს ლოზუნგები კი არ არის, არამედ საბჭოს საქმიანობის ცოცხალი პრაქტიკაა. ნებისმიერ ქვეყანას, მისი სიდიდისა და განვითარების დონის მიუხედავად, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ორგანოებში თანასწორი წარმომადგენლობა, თანასწორი ხმა აქვს. ჩვენს საბჭოში არავინ არ მბრძანებლობს. ჩვენი სოციალისტური თანამეგობრობა გამოირჩევა ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესების ჰარმონიული შეხამებით, ყოველი ცალკეული ქვეყნის შეხედულებებისა და ეროვნული თავისებურებების პატივისცემით. ალბათ ეს არის ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ავტორიტეტის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნები, რომლებიც ხელმძღვანელობენ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებით, საერთაშორისო ასპარეზზეც მტკიცედ იღაშქრებენ ეაჭრობაში, ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობაში ყოველგვარი დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ეს არ არის კონიუნქტურული კურსი. იგი განაპირობა თვით ჩვენი წყობილების ბუნებამ, სოციალისტური საგარეო პოლიტიკის საერთო მიმართულებამ.

ეკონომიკური ერთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების თანამშრომლობა ხალხთა საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის ვითარდება. მშვიდობის იდეებით არის გაჟღენთილი საბჭოს წესდება, მისი საპროგრამო დოკუმენტები და პრაქტიკული საქმეები. დარწმუნებული ვარ, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობა კვლავაც იქნება დაძაბულობის შენელების გაღრმავებისა და მატერიალიზაციის, მყარი მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამას, უთუოდ, ხელს შეუწყობს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საერთაშორისო კონტაქტების შემდგომი განვითარება.

საბჭოთა კავშირი მზად არის კვლავაც მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ღონისძიებებს, გააფართოოს ხელსაყრელი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან და ორგანიზაციებთან, იბრძოლოს სამართლიან საწყისებზე მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი ამოცანების გადაწყვეტისათვის, საერთაშორისო სამეურნეო ურთიერთობის მთელი სისტემის გაუმჯობესებისათვის.

კარგია, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის სხდომა ნაწილობრივ წარმოადგენს ფართო საერთაშორისო ფორუმს, რომელსაც ესწრებიან 12 სოციალისტური ქვეყნის, ოთხი კონტინენტის მთელი რიგი სხვა სუვერენული სახელმწიფოების, აგრეთვე ავტორიტეტიანი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თავის 30-ე წლისთავს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო ხვდება დაძაბული შრომის ეითარებაში. უნდა შესრულდეს გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამები, რომლებმაც განსაზღვრეს მომავალი ათწლეულისათვის თანამშრომლობის სტრატეგია. ახლა, როგორც ჩანს, მთავარი ამოცანა ის არის, რომ გრძელვადიანი პროგრამები კონკრეტულ შეთანხმებათა სისტემად ვაქციოთ, მომდევნო ორი ხუთწლედი ინტენსიური საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაციის პერიოდად გავხადოთ. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველაზე მოწინავე საფეხურებზე სოციალისტური წარმოების დაყენებას, ჩვენი ქვეყნების მძლავრი საწარმოო ძალების რაც შეიძლება ეფექტიან გამოყენებას. ყოველივე ეს განამტკიცებს ბაზას მომავალ წლებში სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

მეტად საგულისხმოა, რომ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს 30-ე წლისთავის აღსანიშნავად ჩვენს ქვეყანასა და სხვა მოძმე ქვეყნებში შრომითი კოლექტივების შეჯიბრება გაიშალა. მთავარია კვლავაც ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა სამეურნეო კადრები და მშრომელთა ფართო მასები აღვზარდოთ სოციალისტური პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის შეხამების სულისკვეთებით. ეს ერთიანი და ნაკადი ხაზია მომძე კომუნისტური და მუშათა პარტიებისა, რომლებიც ხელმძღვანელ და შემადგენლობელ ძალას წარმოადგენენ მთელი ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობის ორგანიზაციაში.

სოციალისტური ეკონომიკის განვითარება სხვადასხვა ქვეყნის პირობებში ფართო შესაძლებლობებს უსახავს მეურნეობრიობის ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების გაჯერებასა და ათვისებას. ვფიქრობ, რომ საერთო საქმის სარგებლობისათვის საჭიროა მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და გამოყენებისათვის მუშაობის გააქტიურება. იგი ჩვენი განვითარების სულ უფრო მნიშვნელოვანი რეზერვი ხდება.

მინდა ვუსურვო სოციალისტური ინტეგრაციის საქმიან შტაბს — ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს, ყველას, ვინც დაკავშირებულია მუშაობის ამ მნიშვნელოვან უბანთან, გააძლიერონ თანამშრომლობის ახალი ფორმებისა და მეთოდების შემოქმედებითი ძიება მისი ეფექტიანობის ამაღლების, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრების მიზნით.

დარწმუნებული ვარ, ძვირფასო ამხანაგებო, რომ ახალ დიდ წარმატებებს მიაღწევთ თქვენს ნაყოფიერ საქმიანობაში.

ლ. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

26 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ მოსკოვში გაიხსნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 33-ე სხდომა.

სხდომა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა.

შეკრებილნი მხურვალე ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მისასალმებელ წერილს, რომელიც ა. ნ. კოსიგინმა წაიკითხა.

სხდომაში მონაწილეობდნენ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების დელეგაციები, რომლებსაც მეთაურობენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. ტოდოროვი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლაზარი, ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. რ. როდრიგესი, მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟ. ბატმუნხი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. იაგელსკი, რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური აღმასკომის წევრი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ი. ვერდეცი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი.

სხდომაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. კირილენკო, მ. ა. სუსლოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ნ. ა. ტიხონოვი, ვ. ი. დოლგიხი, კ. ვ. რუსაკოვი, მ. ს. გორბაჩოვი.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ევროპის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმების შესაბამისად სხდომაში მონაწილეობს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე დ. სტავრევი.

სხდომაში მოწვევით მონაწილეობენ დელეგაციები ანგოლის სახალხო რესპუბლიკისა — მპლა — შრომის პარტიის პოლიტბიუროს წევრის, დაგეგმვის მინისტრის ჟოზე ედუარდ დუშ სანტუშის მეთაურობით, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის შახ ვალის მეთაურობით, ეთიოპიის რესპუბლიკისა — ეაჭრობის მინისტრის მოადგილის მეჰდი მუჰსინ აუდის მეთაურობით, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პრემიერ-მინისტრის, ფინანსთა მინისტრის ა. ნ. მუჰამედის მეთაურობით, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — ლაოსის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილის, ფინანსთა მინისტრის ნ. პჰუმსავანის მეთაურობით, მექსიკისა — საგარეო საქმეთა მდივნის მოადგილის ხ. ე. ნავარეტეს მეთაურობით, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკისა — ფრელიმოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი პოლიტიკური კომიტეტის წევრის, ეკონომიკური პოლიტიკის დარგში პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, დაგეგმვის მინისტრის ვ. დუშ სანტუშის მეთაურობით, ფინეთისა — საგარეო ვაჭრობის მინისტრის ე. რეკოლას მეთაურობით, სოციალისტური ეთიოპიისა — დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს მუდმივი კომიტეტის წევრის, განვითარებისა და ცენტრალური დაგეგმვის საერთო-ეროვნული რევოლუციური კომანდის მომწყობი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ენდალე ტესემას მეთაურობით, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის, იუნდოოს — გაერთიანებული ერების სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის წარმომადგენლები.

სხდომაში მონაწილეობს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს მდივანი ნ. ვ. ფადეევი.

ესწრებიან ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები, აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. (საკდესი).



ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXIII სხდომის გახსნა. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲗ

25 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ მოსკოვში ჩამოხდა იაპონიის მიმავალი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი ჰ. შმიდტი. აეროპორტში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაურს დახვდნენ და გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ტიხონოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში გ.-გ. ვიმა.

გაიმართა ა. ნ. კოსიგინის, ა. ა. გრომიკოს, ნ. ა. ტიხონოვის საუბარი ჰ. შმიდტთან.

საუბრის დროს შეეხნენ ორმხრივი ურთიერთობის საკითხებს, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს.

ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარების გამო. ეკონომიკური გაცვლა, რაც უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო მყარი და მრავალმხრივი გახდა, სახავს განვითარების ხელსაყრელ პერსპექტივას და ხელს უწყობს ევროპაში ვითარების შემდგომ გაჯანსაღებას. საუბრის მონაწილეებმა დაადასტურეს, რომ ორივე სახელმწიფოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც აამაღლონ მათი ურთიერთობის ხარისხი და დონე ყველა დარგში, მთლიანად განახორციელონ მორიგებანი, რომლებიც მიღწეულია 1978 წლის მაისში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვიზიტის დროს.

საერთაშორისო პრობლემების განხილვისას მხარეებმა აღნიშნეს, რომ უთუოდ საჭიროა თანამიმდევრულად განახორციელონ მშვიდობის განმტკიცების, დაძაბულობის შენელების პროცესის გაძლიერების, განიარაღების დარგში ეფექტიანი ღონისძიებანი. ჰ. შმიდტი მიესალმა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვენის ხელშეკრულების ხელმოწერას. გამოთქვა ერთსულოვანი აზრი, რომ ეს ხელშეკრულება დიდმნიშვნელოვანი სტიმული იქნება, რათა მიღწეულ იქნეს უფრო სწრაფი წინსვლა სამხედრო დაძაბულობის შენელების სხვა ასპექტების შესახებ მოლაპარაკებაზე და კიდევ უფრო გაუმჯობესდეს საერთაშორისო ურთიერთობის პოლიტიკური კლიმატი. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲰᲐᲡᲚᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲛᲮᲐᲠᲔᲗᲐ მორიგების შესაბამისად, საბჭოთა კავშირში არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივნის, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰ. ასადის ჩამოსვლა, რომელიც ა. წ. ივნისის დამლევს იყო გათვალისწინებული, ცოტა ხნით გადაიდო. დამატებით დაზუსტდება ახალი თარიღი ვიზიტისა, რომლის დროსაც უნდა განიხილონ საერთაშორისო პრობლემები, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-სირიის მეგობრული და გულითადი ურთიერთობის საკითხები.

ა. ა. გრომიკოს პრესკონფერენცია

25 ივნისს მოსკოვში გაიმართა პრესკონფერენცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის ვენის შეხვედრის და ზისი შედეგების შესახებ. პრესკონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ. მან თქვა:

ახლახან გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომელშიც მაღალი შეფასება ეძლევა საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრებს და მის შედეგებს. მაგრამ, ეტყობა, საჭიროა რამდენადმე დაწვრილებით გავაშუქო მთელი რიგი საკითხები და დამატებით მოგახსენოთ ზოგიერთი შეხედულებანი ჩვენი მხრივ, ამასთან ზოგიერთი შეფასება მივცე ამა თუ იმ ასპექტს.

უწინარეს ყოვლისა მინდა ხაზი გავუსვა შეხვედრის უდიდეს მნიშვნელობას. ამას რომ მოგახსენებთ, არა მგონია, იმ საერთო შეფასების რაიმე საწინააღმდეგოს ვამბობდე, რომელიც ლ. ი. ბრეჟნევისა და პრეზიდენტ ჯ. კარტერის შეხვედრამ პოვა საერთოდ მსოფლიოში, მათ შორის, საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუმცა ამერიკაში, როგორც იცით, უფრო რთული მდგომარეობაა.

საერთოდ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა უმაღლესი დონის შეხვედრები არ არის ხშირი მოვლენა. უკვე მარტო ეს გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გამართულ შეხვედრას. ეს შეხვედრა აღსავსე იყო დიდი პოლიტიკური შინაარსით, უაღრესად მნიშვნელოვანი შინაარსით, შესაძლოა, უფრო მეტადაც, ვიდრე რომელიმე სხვა ამდაგვარი საერთაშორისო შეხვედრა.

რა თქმა უნდა, ამ შეხვედრაზე მთავარი ადგილი ეკავა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების საკითხს. ეს ძირითადი საკითხი გახლდათ. ყველამ კარგად ვიცით, რომ ხელშეკრულება დიდი ხნის მანძილზე, დაახლოებით შვიდ წელიწადს მზადდებოდა. როგორც ხედავთ, გვიანიანი დროა.

მოლაპარაკების დროს დიდ სიძნელეებს ვაწყდებოდით, ეს ხომ უბრალო მოლაპარაკება არ იყო. ჯერ ერთი, რომ მოლაპარაკების საგანი მარტოოდენ დიდმნიშვნელოვანი კი არა, რთულიც იყო. მეორეც: ის, რომ თითოეული მხარეს გულდასმით უნდა აეწონ-დაეწონა თავისი პოზიცია და მოლაპარაკების მონაწილე პარტნიორების პოზიცია, შემდეგ კი განესაზღვრა, რა აძლევს ხელს და რა არა, რა არის მისაღები და რა მიუღებელი. ამიტომ მოლაპარაკება ძალზე ძნელი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ორივე მხარეს ეყო სიმტკიცე და ნებისყოფა ბოლომდე მიეყვანა მოლაპარაკება — იგი წარმატებით დაგვირგვინდა, და ხელშეკრულებაც დაიდო ვენის შეხვედრის მონაწილეთა მაგიდაზე — ხელმოსაწერად გამზადებული.

რაც შეეხება ხელშეკრულების მატერიალურ მხარეს, უნდა ითქვას, რომ იგი გაცილებით უფრო მრავალმხრივია საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების წინანდელ და დროებითს შეთანხმებაზე სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ. სხვათა შორის, ეს შეთანხმება დღესაც მოქმედებს. მხარეებმა დაიქადეს, რომ შეთანხმება კვლავაც იმოქმედებს, სანამ მე-2 ხელშეკრულება ძალამოსილად გამოცხადდებოდეს.

დროებითი შეთანხმება მოიცავდა ორ კომპონენტს: საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებს და წყალქვეშა ნავებზე დადგმულ ბალისტიკურ რაკეტებს.

ვენაში ხელმოწერილი ხელშეკრულება მოიცავს სამ კომპონენტს: ორ ჩემ მიერ ნახსენებსა და პლუს სტრატეგიულ ავიაციას, გარდა ამისა, იგი ეხება უფრო მრავალფეროვან პარამეტრებს, რომლებიც სტრატეგიულ იარაღს განეკუთვნება და თუ ავწონ-დაგწონით წინათ დადებულ დროებითს შეთანხმებასა და ახლანდელ ხელშეკრულებას, ადვილად დავინახავთ, რომ ეს ხელშეკრულება უფრო ღრმამნიშვნელოვანია, ვიდრე ჩემ მიერ ნახსენები დროებითი შეთანხმება, და უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს.

ხელშეკრულების დახასიათება სრული არ იქნებოდა, რომ არ აღმენიშნა ერთი არსებითი მხარე, რომელიც შუდამ იგრძნობოდა მოლაპარაკების დროს, სახელდობრ, ხელშეკრულება დაიდო მისი ახლანდელი სახით, რადგან მხარეები იცავდნენ თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების პრინციპს. თითქოს კარგი და იოლი ნათქვამია: თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების პრინციპი. თითქოს არავინ არ უნდა იყოს წინააღმდეგი ამ პრინციპისა? მაგრამ სხვა საქმეა, როცა მიმდინარეობს მოლაპარაკება, ამასთან უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე, — სწორედ აქ წარმოიშობა სიძნელეები, და დიდი სიძნელეებიც. ერთ მხარეს ეჩვენება, რომ იგი იცავს თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების პრინციპს: მეორეს ეჩვენება, რომ სწორედ იგი მოქმედებს ასე, და არა პირველი მხარე, მაგრამ ეშმარიტება ხომ ერთია. უნდა გამოიძებნოს საკითხის გადაწყვეტის ისეთი გზა, რომელიც შეესაბამება თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების დაცვის მოთხოვნებს. და სწორედ შესაბამისი კომპრომისის, ინტერესების ბალანსის პოვნის ეს პროცესი იყო მეტად ძნელი. მაგრამ საბოლოოდ მხარეებმა მიაგნეს ინტერესების მისაღებ ბალანსს. შესაძლოა, ერთი შეხედვით, ეს არც მოგეჩვენოთ ძალიან მკაფიო ფორმულად, მაგრამ იგი ზუსტად და გამოკვეთილად ასახავს მდგომარეობას.

ახლა არ გვინდა მივმართოთ წარსულს და დავასახელოთ ზოგიერთი ფაქტი, რომელიც განეკუთვნება ამერიკის მხარის მიერ განსახილველად წამოყენებულ ამა თუ იმ წინადადებას. მაგრამ საბოლოოდ მანაც, შემდგომში — უფრო მეტად, უფრო საღი და ობიექტური პოზიცია დაიკავა. ჩვენ ამის გამო კმაყოფილებას გამოვთქვამთ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ხშირად გიგონებთ, თითქოს ვენაში დადებული ხელშეკრულება უფრო მეტად შეესაბამებოდეს საბჭოთა კავშირის ინტერესებს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატებისას. ეს, თავაზიანად რომ ვთქვათ, სწორი არ არის. იგი თანაბრად შეესაბამება როგორც საბჭოთა კავშირის, ისე შეერთებული შტატების ინტერესებსაც, შვიდი წელი საკმარისი იყო იმისათვის, რომ აგვიწონ-დაგვიწონა, თანაც რამდენჯერმე აგვიწონ-დაგვიწონა ცალკეული, შედარებით უმნიშვნელო საკითხებიც, რომლებიც განეკუთვნება სტრატეგიული იარაღის ამა თუ იმ ელემენტებს, რათა თავიდან აგვიცილებინა შეცდომა. და ამის შედეგია ორივე მხარისათვის მისაღები ხელშეკრულება.

ის მოღაფენი, რომლებიც ცდილობენ საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს ხელშეკრულება უფრო მეტად შეესაბამება საბჭოთა კავშირის ინტერესებს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატებისას, სწორად მოიქცევიან, თუ მოახერხებენ დაასაბუთონ თავიანთი განცხადებანი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირმა მეტი მოიგო, ვიდრე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, და დაადგენან ობიექტურ პოზიციას. ეს იქნება საკითხის პატიოსანი გადაწყვეტა, და ჩვენ მოველით ამას.

ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში იწყება პასუხსაგები ხანა, როცა ხელშეკრულების დადების შემდეგ გარკვეული ძალები ჯერ კიდევ ფიქრობენ, რა პოზიციას დაადგენენ ხელშეკრულების მიმართ. იმედი გვაქვს, რომ ეს სწორი და ობიექტური პოზიცია იქნება. ხელშეკრულება თანაბრად შეესაბამება ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერესებს. იგი აგრეთვე შეესაბამება მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესებს.

უკვე მოგახსენეთ, რომ მოლაპარაკება ძნელი იყო. საბჭოთა კავშირის — ანუ როგორც მოლაპარაკების დროს ამბობენ, ხოლმე — საბჭოთა მხარის სახელით შემიძლია ვისაუბრეთ ამ შემთხვევით და გითხრათ, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა, პოლიტბიურო, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მუდამ აქტიურად სწავლობდნენ ამ საკითხს, მუდამ თვალთახედვის არეში ჰქონდათ იგი მოლაპარაკების დაწყებიდან ბოლომდე. პირადად ლ. ი. ბრეჟნევი, რომელსაც კარგად აქვს შესწავლილი ეს პრობლემა — განსაკუთრებით მინდა გავუსვა ამას ხაზი, — გამუდმებით თვალს ადევნებდა მოლაპარაკების მთავარ, პრინციპულ საკითხებსა და ხაზებს.

ამით იმის თქმა არ მინდა, თითქოს შეერთებულ შტატებში საქმეს სერიოზულად არ წარმართავდნენ. ამერიკის მხარეს უკეთ შეუძლია შეაფასოს, თუ როგორ წარმოებდა იგი. მაგრამ საბჭოთა მხარის სახელით შემიძლია თამამად ვთქვა: ჩვენ ჯეროვან მნიშვნელობას ვანიჭებდით ამ პრობლემას, სერიოზულად ვუდგებოდით მას მთელი მოლაპარაკების მანძილზე, მისი დაწყებიდან დამთავრებამდე.

მართებულად ამბობენ საზღვარგარეთაც — ჩვენც ამას ვადასტურებთ, — და ეს, საკუთრივ, ხელშეკრულებიდან და იმ დოკუმენტებიდან ჩანს, რომლებიც ერთდროულად იქნა შეთანხმებული და თან ერთვის მას, რომ ხელშეკრულება გარკვეული თვალსაზრისით წინსვლის, სტრატეგიული შეიარაღების შემდგომი შეზღუდვის შესახებ ახალი შეთანხმების შემოქმედებისა და მომზადების საფუძველს ქმნის და სწორედ ამით არის იგი ესოდენ მნიშვნელოვანი. პრესაში გამოქვეყნდა ერთობლივი განცხადება, რომელიც ეძღვნება მომავალ მოლაპარაკებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ახალი ხელშეკრულების შესაძლო დადების შესახებ. ამრიგად, ეს ხელშეკრულება ხიდია შემდგომი ხელშეკრულების დადებისა. ვენაში დადებული ხელშეკრულება ამითაც არის მნიშვნელოვანი.

განსაზღვრულია ძირითადი მიმართულებებიც, რომლებითაც უნდა განხორციელდეს მომდევნო მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ახალ ხელშეკრულებას შეუძლია უზრუნველყოს — თუ საქმე წარმატებით დაბოლოვდება — სტრატეგიული შეტევითი იარაღის შემდგომი შეზღუდვა და შემცირება. უწინარეს ყოვლისა საქმე უნდა შეეხოს ბირთვული იარაღის შესაბამის მატარებლებს, გასაშვებ დანადგარებს.

თითოეული ადამიანისათვის, რომელიც შომავლს უფიქრდება, ცხადი უნდა იყოს, თუ რას ნიშნავს სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შემდგომი შემცირება იმასთან შედარებით, რაც გათვალისწინებულია ახლანდელი ხელშეკრულებით. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებას რომ ვუწოდებთ. საბოლოო ანგარიშით ხომ იმას უნდა ვეცადოთ, რომ პირველ შემცირებას მოჰყვეს მეორე, მეორეს — მესამე და ასე შემდეგ. ეს არის პროცესის დასაწყისი, რომელსაც თავისი სერიოზულობით ვერც კი შევადარებთ რომელიმე სხვა პროცესს. ეს არის მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესი. ეს იმათაც კი არ უნდა გამორჩეთ მხედველობიდან, ვინც ჯერ კიდევ ეჭვმანობს: ნეტავ რა არის ვენაში ხელმოწერილი ხელშეკრულება, კარგია თუ ცუდი? ჩვენ — არც ჩვენი ხალხი, არც ჩვენი პარტია — საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი ძალა, არც ჩვენი ხელმძღვანელობა — ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო ამ მხრივ სრულიად არ ვყოყმანობთ. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ არ დავჯერდეთ მიღწეულს, ვიაროთ წინ, არ დავიშოროთ ძალღონე, ოღონდ მივაღწიოთ რაკეტულ-ბირთვული იარაღის შემდგომ შემცირებას.

და კიდევ მინდა ყურადღება მივამყარო საქმის ერთ მხარეს, რომელიც დაკვირვებულმა ადამიანებმა არ შეიძლება არ შენიშნონ, თუმცა არიან ისეთი მოღვაწენი, რომლებიც გადაჭყვნენ განცხადებებს იმის შესახებ, თუ ვისთვის უფრო ხელსაყრელია ხელშეკრულება, და მხედველობიდან გამორჩათ საქმის ეს მხარე. მე ვგულისხმობ თვისებრივ მხარეს. ხელშეკრულება მხარეებს აკისრებს ზუსტ ვალდებულებებს არა მარტო რაოდენობრივი შეზღუდვის მხრივ, არამედ ითვალისწინებს გარკვეულ ვალდებულებებსაც, რომლებიც ზღუდავენ თვისებრივ მხარეს, მის სტრატეგიული იარაღის ხარისხობრივ სრულყოფას, თუ საერთოდ სიტყვა „სრულყოფა“ გამოდგება ამ შემთხვევაში. სრულყოფას იტყვიან ხოლმე რაღაც დადებითის მიმართ, მაგრამ პირობითად აქაც გამოგვადგება. ეს შეზღუდვები ეხება რაკეტების სიმძლავრესაც, მუხტების რაოდენობასაც და სხვა პარამეტრებსაც. არ განვავრცობ ამ თემას, მინდა მხოლოდ ერთხელ კიდევ გავუსვა ხაზი, რომ ხელშეკრულება გვაკისრებს არა მარტო რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი ხასიათის ვალდებულებებსაც. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, საქმე ეხება რაკეტულ-ბირთვული იარაღის დამანგრეველი ძალის შეზღუდვას.

შეიძლება იკითხონ: ვინ მიიღებს მონაწილეობას მომავალ მოლაპარაკებაში — მარტო საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები თუ, იქნებ, ზოგიერთი სხვა სახელმწიფოც? სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გარდა ხომ არიან ჩვენთვის კარგად ცნობილი სხვა ბირთვული სახელმწიფოებიც. ამ კითხვას ჩვენ ასე ვუპასუხებდით: ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს არ შეუძლიათ დაუსრულებლად აწარმოონ მოლაპარაკება მხოლოდ ორმხრივ საფუძველზე. ეს შეუძლებელია. გარკვეულ დრამდე მათ შეუძლიათ აწარმოონ ასეთი მოლაპარაკება, მაგრამ მხოლოდ გარკვეულ დრამდე. სხვა ბირთვული სახელმწიფოებიც უნდა შეუერთდნენ მოლაპარაკებას. რამდენი სახელმწიფო და რომელი — ეს საკითხი ჯერჯერობით დეტალურად არ ყოფილა განხილული არც ვენაში, არც მის ფარგლებს გარეთ. მაგრამ მინდა დავძინოთ: ლ. ი. ბრეჟნევი და ჯ. კარტერი ვენაში შეთანხმდნენ, რომ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მომავალი ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკების მონაწილეთა საკითხი აქტუალურია.

შეიძლება გვკითხონ: კარგი, სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულება დაიდო, არის შეთანხმება ახალი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის თაობაზე მოლაპარაკების მოწყობის შესახებ, მაგრამ გამალებული შეიარაღების სამე როგორღა? ბოლოს უღებს თუ არა ხელმოწერილი ხელშეკრულება გამალებულ შეიარაღებას? სავსებით გარკვეით უნდა ვთქვა: არა, ბოლოს არ უღებს გამალებულ შეიარაღებას. ჯერ ერთი, თუნდაც იმიტომ, რომ ხელშეკრულება ეხება მხოლოდ სტრატეგიულ იარაღს. მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ არსებობს სხვაგვარი იარაღიც არასტრატეგიული. მაგრამ დამანგრეველი ძალით ამ იარაღს ვერც კი შეედრება ის იარაღი, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დროს იყენებდნენ.

შემდეგ, ყოველ გონიერ კაცს, რომელიც უკვირდება მსოფლიო მდგომარეობას, თვალში ხვდება გამალებული შეიარაღების ისეთი მაჩვენებელი, როგორიც არის სამხედრო ბიუჯეტები. იქნებ, ისინი მცირდება? სამწუხაროდ, არა. არა თუ წელი, ნახევარი წელი, თვე კვირაც კი არ გაივლის, რომ საბჭოთა კავშირი მოლაპარაკებაში თავის პარტნიორებს, შესაბამის საერთაშორისო ფორუმებში პარტნიორებს არ უმტკიცებდეს სამხედრო ბიუჯეტების შემცირების აუცილებლობას. ჩვენ კი გვიპასუხებენ: მაგისთვის ჯერ კონტროლიაო საჭირო. ვინ არიცის, რომ სამხედრო ბიუჯეტებს საბოლოო, ანგარიშით პარლამენტები იღებენ და იწონებენ. ყოველივე ეს მთელი ხალხის თვალწინ ხდება.

ამიტომ ამ შემთხვევაში რაღაც კონტროლზე ლაპარაკი სხვა არა არის რა, თუ არა კამუფლაჟი, რომლითაც ნიღბავენ ნამდვილ პოზიციას და იმას, რომ არ სურთ შეამცირონ სამხედრო ბიუჯეტები, სამხედრო ასიგნებანი, და ცდილობენ განაგრძონ გამალებული შეიარაღება. და აი ახლა ჩვენ — საბჭოთა კავშირიც, ამერიკის შეერთებული შტატებიც და მთლიანად მსოფლიოც — ისეთ მდგომარეობაში ვართ, როცა იდება ისეთი ხელშეკრულებანი, რომლებიც უდავოდ აფერხებენ გამალებულ შეიარაღებას, მაგალითად, ვენაში ხელმოწერილი ხელშეკრულებისათვის და ხელი შეეწყო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამ თუ იმ გზით, ამა თუ იმ ფორმით მიტმასნებოდა ხელშეკრულებასა და მექანიზმს, რომლის მიზანია მოემსახუროს ამ ხელშეკრულებას ახლო აღმოსავლეთში.

თავისთავად ცხადია, რომ საბჭოთა კავშირი ვერ დაეთანხმებოდა ასეთ თვალსაზრისს. ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა საბჭოთა კავშირის პრინციპული პოზიცია. მან მკაფიოდ განაცხადა: ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, რომ საბჭოთა კავშირმა მხარი დაუჭიროს ანტიარაბულ ხელშეკრულებას და საერთოდ რაიმე მექანიზმს, რომელიც ამ ხელშეკრულების მომსახურებისათვის იქმნება. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ საკითხის ასე დაყენებაზე სხვაგვარ პასუხს, სხვაგვარ რეაქციას სსრ კავშირის მხრივ პრეზიდენტი ჯ. კარტერი არც მოელოდა. ამიტომ შესაბამის პუბლიკაციებში როგორც მოგეხსენებათ, თუმცა ლაკონიურად, მაგრამ ფაორმოფიულად ნათქვამია, რომ მხარეთა პოზიციები ამ საკითხზე განსხვავებული იყო და რჩება.

საბჭოთა კავშირის პრინციპული პოზიცია ახლო აღმოსავლეთის საქმეებში ისეთი იყო და არის, როგორიც მრავალი წლის წინათ ჩამოყალიბდა. სახელდობრ: ისრაელის მიერ დაპყრობილი ყველა არაბული მიწა უნდა დაუბრუნდეს არაბებს; პალესტინის არაბმა ხალხმა უნდა მიიღოს შესაძლებლობა შექმნას თავისი, თუნდაც პატარა თავისთავადი დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს ძნელი არ არის, ისტორიიდან ვიცით, რომ უფრო ძნელი ანალოგიური საკითხებიც გადაწყვეტილა.

ამ რაიონის ყველა ქვეყანას, მათ შორის ისრაელსაც, — და ამაში ეშვი არავის არ უნდა შეეპაროს — უნდა ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ ახლო აღმოსავლეთში იარსებოს და ვითარდებოდეს როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო. განა შეიძლება საბჭოთა კავშირი ისრაელის არსებობის წინააღმდეგი იყოს? თავის დროზე, როცა პალესტინის მიმართ ინგლისის მანდატმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა, სწორედ ჩვენ შევიტანეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წინადადება ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შესახებ. ისრაელს უნდა დაეფასებინა საბჭოთა კავშირის პოზიცია, მაგრამ, როგორც ჩანს, ისრაელ მოღვაწეებს უფრო მეტად სხვა მოსაზრებანი და სხვა ინტერესები ამოძრავებთ. ეტყობა, მათ სხვათა ტერიტორიების დაპყრობის წყურვილი უფრო ამოქმედებთ. ასეთი თვალსაზრისს შორსმჭვრეტელურს ვერ ვუწოდებთ.

რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ აფრიკაზე. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები, შეაფასეს აფრიკის, განსაკუთრებით სამხრეთ აფრიკის მდგომარეობა. უნდა ვთქვა, რომ გასაგები მიზეზების გამო, შეფასებანი სხვადასხვაგვარი იყო. თუ ჩვენს პოზიციას მოკლედ ჩამოვაყალიბებთ, აი მისი არსი: აფრიკაში, იმ რაიონებში, სადაც ხალხებს ჯერ კიდევ არ მოუპოვებიათ თავისუფლება, სადაც ჯერ კიდევ კოლონიური, რასისტული უღელი ადგათ, მათ ხელში. უნდა აღიონ ძალაუფლება, თვითონ განსაზღვრონ თავიანთი ბედი, თავიანთი საზოგადოებრივი წყობილება, თვითონ უნდა გადაწყვიტონ მათს კომეტენციაში შემავალი ყველა საშინაო პრობლემა, და გარედან არავინ არ უნდა უკარნახებდეს, არავინ არ უნდა ეროდეს მათს საქმეებში.

ამერიკის მხარე სხვა თვალსაზრისს ადგას. თუმცა აშკარად არ მოითხოვს ჩარევას, ზეგანგენასა და სხვას, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები იცავს პოლიტიკას, რომელიც რასისტებს სჭირდებათ, პოლიტიკას, რომლის მიზანი ის არის, რომ მკვიდრ მოსახლეობას საკუთარი ხელისუფლების დამყარების შესაძლებლობა არ მისცენ. თავის დროზე მოყვანილი იყო მონანაგები როდეზიის მოსახლეობის შესახებ: იქ ყოველი 25 კაციდან ერთი თეთრკანიანია, ხოლო 24 — შავკანიანი. ასეთია მკვიდრი მოსახლეობისა და ჩამოსახლებულთა შეფარდება. მაშვის უნდა ეკუთვნოდეს ხელისუფლება, ვინ უნდა წყვეტდეს საკითხს, ვინ უნდა ქმნიდეს მთავრობას და განსაზღვრავდეს ქვეყნის საზოგადოებრივ წყობილებას? ობიექტურად მოაზროვნე ადამიანმა არ შეიძლება არ აღიაროს, რომ ყოველივე ეს ამ ქვეყნის მკვიდრმა მოსახლეობამ, ხალხმა უნდა განსაზღვროს და ყველა საშინაო საკითხიც მანვე გადაწყვიტოს. როდეზიაში მოეწყო ეგრეთ წოდებული არჩევნები და შეიქმნა მარionეტული მთავრობა. ეერავის ვერ დაჯერებ სხვაგვარი განმარტებით ყოველივე იმისა, რაც იქ ხდება. ყველამ კარგად უწყის, თუ რა გარემოებათა პირობებში და როგორ გაკეთდა ეს, რა ხრიკებს მიმართავდნენ ხალხთა თავისუფლების მოწინააღმდეგენი.

ეფიქრობ, მსოფლიოს არ გაკვირვებია, რომ ამ საკითხში საერთო ენა ვერ გამოვნახეთ ვენის შეხვედრაზე. გვინდა გვჯეროდეს: დასავლეთის ქვეყნები და შეერთებული შტატები ბოლოს მივლენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა გამოინახოს ამ პრობლემის უფრო სამართლიანი გადაწყვეტის გზა, მოისპოს რასიზმი, კოლონიალიზმი, ნეოკოლონიალიზმი როგორც როდეზიაში, ისე ნამიბიაშიც. ნამიბიის მდგომარეობა დაახლოებით ისეთივეა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ უფრო აშკარად და მოურიდებლად გამოიყენა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ თავისი შეიარაღებული ძალები და, შეიძლება ითქვას, ცდილობს სისხლში ჩაახშოს ამ რაიონის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მაგრამ ისტორიას უკუღმა ვერ შეატრიალებ, მას თავისი გარდაუვალი კანონები აქვს, რომლებიც აღრე თუ გვიან თავისას გაიტანენ. ამაში დარწმუნებული ვართ.

და ბოლოს, მოგახსენებთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ორმხრივი ურთიერთობის შესახებ. იგი ვენაში ლ. ი. ბრეჟნევისა და პრეზიდენტ ჯ. კარტერის მსჯელობის საგანი იყო. მე ვიტყოდი, რომ ეს ურთიერთობა ახლა უფრო ღრმად იქნა განხილული, ვიდრე ოდესმე. ეს შეეხება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობასაც. აქ საკმაო ერთნაირი როდია. ამას ჩვენმა მხარემაც გაუსვა ხაზი. ლ. ი. ბრეჟნევმა გულახდილადაც თქვა, თუ სად მდის საქმე არც ისე ცუდად, სად — ცუდად და სად არ იგრძნობა წინსვლა. ზოგიერთ საკითხში კი უკანასკნელ წლებში აშკარა უკუსვლა იყო. საუბარი გულახდილი გახლდათ. ჩვენი აზრით, ყველაფერი, რაც საბჭოთა მხარემ თქვა, მოულოდნელი არ ყოფილა არც შეერთებული შტატებისათვის, არც ბრალად პრეზიდენტ კარტერისათვის. ამ საკითხებზე აზრთა გაზიარება იმით დამთავრდა, რომ მხარეებმა ძალ-ღონე არ უნდა დაიშურონ იმ დარგებში მდგომარეობის გამოსწორებისათვის, რომლებშიც იგი აშკარად არადამაკმაყოფილებელია. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ეკონომიკურ ურთიერთობას. ამერიკის მხარე, როგორც ითქვა, იფიქრებს იმაზე, თუ რის გაკეთება შეიძლება, აწონ-დაწონის ყოველგვარ შესაძლებლობას. თვალში გვეცა, რომ ჯერჯერობით რაიმე გარკვეული ზუსტი გეგმა მას არა აქვს. ეს იცის, იქნებ აქვს კიდეც. მაგრამ ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

ალბათ მკითხველნენ ჩემს განცხადებაში რომ არ აღმენიშნა ეს, როგორ უყურებს ჩინეთის ხელმძღვანელობა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულებას. უნდა ითქვას, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობა უარყოფით შეფასებას აძლევდა და აძლევს კიდეც ხელშეკრულებას. ამას მარტივად ეხსნიან: ამ მოქმედებს არა საერთაშორისო ცხოვრების ლოგიკა, არამედ ჩინეთის ხელმძღვანელობის ვიწრო ჩინეთია, რომლის ბედვითაც კარგია, თუ შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში დაძაბულობა იქნება, და კიდევ უფრო უკეთესია, თუ ეს დაძაბულობა გამწვავდება. მათ ესმით, რომ ამ ხელშეკრულებას ბევრი დადებითი, უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან ჩვენს ორმხრივ ურთიერთობაში. მას მძლავრი პოზიტიური ნაკადი შეაქვს მთლიანად საერთაშორისო ვითარებაში. ეგანატყუილად არის, რომ ახლა პრაქტიკულად მთელი მსოფლიო უკრავს ტაშს ხელშეკრულებას, ტაშს უკრავს ლ. ი. ბრეჟნევსა და ჯ. კარტერს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას. ეკეთნ ეს არ ეპიტნავება. არ ეპიტნავება თავის ვიწრო მოსაზრებათა გამო. გვგონია, არავინ გაზდის სადავოდ ამ თეზისს პეკინის ამგვარი დამოკიდებულების მიზეზების შესახებ.

ჩვენი აზრით, ორივე სახელმწიფოსათვის — საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სწორი იქნება იარონ იმ გზით, რომელიც გაკვალულია და რომელმაც ვენაში ხელშეკრულების ხელმოწერამდე მიგვიყვანა. ეს ხელშეკრულება მშვიდობის სასარგებლო, დაძაბულობის შენელების სასარგებლო ხელშეკრულებაა. იგი მიმართულია იმის საშიშროების წინააღმდეგ. და ის, ვინც ხმას მისცემს ხელშეკრულებას, ამით ხმას მისცემს მშვიდობას. თუ გავიმარტივებთ ამ დებულებას და, როგორც იტყვიან, წარმოვაჩენთ იმის დედაარსს, რასაც ითვალისწინებს ხელშეკრულება, რასაც იძლევა იგი, მაშინ სწორედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ეს დებულება — ვინც მხარს უჭერს ხელშეკრულებას, ის მხარს უჭერს მშვიდობას, დაძაბულობის შენელებას, ადამიანთა კარგ ურთიერთობას, ეს კი გამოხატავს არა მარტო საბჭოთა ხალხის, ამერიკელი ხალხის, არამედ მსოფლიოს ყველა ხალხის სანუკვარ აზრებსა და მისწრაფებებს. ვფიქრობთ, რომ არც ჩინელი ხალხია გამონაკლისი, იმი მას არ სჭირდება. მსოფლიოში არ გვეგულება ხალხი, რომელსაც სურდეს დაიღუპოს ახალი ომის ხანძარში.

აი ამ განცხადების გაკეთება მსურდა.

შემდეგ ა. ა. გრომიკომ უპასუხა კორესპონდენტთა კითხვებზე.

საბჭოეთის მუშაობის შესახებ

გამოვიდა კრებული „ვ. ი. ლენინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოეთის მუშაობის შესახებ“, წიგნში „ლენინი ვ. ი. ლენინის შრომები საბჭოეთის მუშაობის შესახებ, პარტიული ყრილობებისა და კონფერენციების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებები და რეზოლუციები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს — და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებანი და ზოგიერთი სხვა დოკუმენტები საბჭოეთის მუშაობის შესახებ.

ეინ—ეინეეა

კრებული „ოთამზადა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ და დაბეჭდა მოსკოვის „კრასნი პროლეტარის“ ტაბეშმ. (საკდესი).

ცეკავშირი:

ვიმუშაოთ ხვალ დღევანდელზე უკეთ

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის XXVIII ყრილობა

თბილისში ორ დღეს მუშაობდა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის რწმუნებულთა XXVIII ყრილობა. ოგი საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა. დელეგატებმა აღნიშნეს მიღწეული წარმატებანი, ამასთანავე პირუთვნელად და პრინციპულად ილაპარაკეს ნაკლოვანებებზე, დასახეს მათი აღმოფხვრის გზები.

ამოცანები, რომლებიც სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა უნდა გადაწყვიტონ, რთულია და პასუხსაგები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმმა განსაზღვრა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ზუსტი კურსი და კოოპერაციას დააკისრა ახალი ფუნქციები: ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი სოფლად საწარმოო კოოპერაციის განვითარებას მომსახურების პროგრესული ფორმების — საკოლმეურნეობათშორისო გაერთიანებებისა და მსგავი აგროსამრეწველო კომპლექსების შექმნის გზით. საქმე ეხება სოფლად ვაჭრობის ისეთ ორგანიზაციას, რომელიც ყველაზე სრულად დააკმაყოფილებს სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებას უპირველესი საჭიროების საქონელზე და ამასთანავე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სწრაფი ზრდის მძლავრი სტიმულატორი გახდეს.

ეს ამოცანა პერსპექტივისათვის არის შემუშავებული. ამიტომ კოოპერატორებმა ამთავითვე უნდა ეძებონ მიზ

კურორტი, დამსვენებელი, მომსახურება

ბამდვილი საკურორტო სეზონი დადგა. ჩვენი რესპუბლიკის დასასვენებელ და გამაჯანსაღებელ ადგილებს ათასობით მშრომელმა მიაშურა. შავი ზღვის, ბარისა და მთის ზონის კურორტებზე ბევრი სასიკეთო ღონისძიება განხორციელდა ავადმყოფთა და დამსვენებელთა უკეთ მომსახურებისათვის, სამედიცინო, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების გამართული მუშაობისათვის. საკურორტო სეზონის უკეთ შეხვედრისა და საერთოდ მთელ პერიოდში ყველა სამკურნალო და დასასვენებელი დაწესებულების კარგი მუშაობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს და ახლაც ენერგიულად შრომობენ სახალხო კონტროლის ადგილობრივი ორგანოები — ჯგუფები, საგუშაგოები, კონტროლიორები, აქტივი.

ჩვენი გაზეთის ამ დღევანდელ თემატურ გვერდში სწორედ საკურორტო ზონებში სახალხო კონტროლის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის შესახებ არის ლაპარაკი.

მკაცრი ბორჯომი ფემმოწმებელი

ჩვენთან სტუმარ-მასპინძლობა მარტოოდენ დამსვენებლების თავაზიან მიღებას როდი ნიშავს. მთავარი ის გახლავთ, რომ აქ ჩამოსულებს შეუქმნათ მკურნალობისა და კეთილი მომსახურების კარგი პირობები.

ამიტომ არის, რომ რაიონის სახალხო კონტროლიორები სწორედ ამ მიმართულებით წარმართავენ საიანთან მუშაობას. კურორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, ჯანმრთელობის კურორტის ხარისხიანი კაპიტალური და მიმდინარე რემონტის, სამედიცინო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში ეზონისათვის მზადების საკითხების შესწავლისას სახალხო კონტროლიორებმა ბევრი ხარვეზი და

კლი გამოამზეურეს.

ტურბაზა „ტბა“ (დირექტორი — ა. აბრამაშვილი), სადაც წლეულს 14.000 მანეთის სარემონტო მუშაობები შესრულდა, სეზონს თითქოს მომზადებული უნდა შეხვედროდა, სამწუხაროდ, ისე არ მოხდა. ტურბაზის ხელმძღვანელობამ დროულად არ იზრუნა კინოსადემონსტრაციო მოწყობის სკამების შესაძენად, აქ დამსვენებლები კინოში თავიანთი სკამებით მიდიან. „ტბას“ წლეულს ბევრი ნორჩი დამსვენებელი ეყოლება, პანსიონატი კი ეფრაც არ დაუკომპლექტებიათ საქედიცინო პერსონალით.

სანატორიუმ „ლებანში“ (მთავარი ექიმი უ. ფანკულაია) ძალზე გვიან შეუდგნენ შენობის რემონტს. და თუ არ იყოჩაღეს, აქ ოქტომბეს წლის ბოლომდე ვერ მორჩებიან. მშენებლობას წარმოებს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს რუსთაველის უბანი (უბნის უფროსი ჯ. ფოდუფჩავა).

ამავე სამმართველოს თბილისის უბნის მშენებლები (უბნის უფროსი ი. ჩიკვაიძე) ორი წელია ეკეთებენ სანატორიუმ „მტკვრის“ რემონტს. ასეთ გულგრილობას ავადმყოფთა ჯანმრთელობისათვის ზრუნვას ვერ დაარქმევ.

სახალხო კონტროლიორთა ყურადღების ცენტრშია პიონერული ბაფხულიც. მათ მიერ ადგილებზე გამოყენებული ბევრი პრაქტიკული წინადადება უკვე განხორციელდა, კიდევ უფრო განმტკიცდა პიონერთა ბანაკების. პანსიონატების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოწესრიგდა და გალამაზდა ეზო-ტერიტორიები, მოგვარდა ყალამომარაგება, საქვაბე მეურნეობა, ბევრი რამ გაკეთდა კვების ბლოკის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში მოწყობილმა რეიდმა, რომლის ინიციატორი სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტი გახლდათ, ბევრი ნაკლი გამოავლინა, შემოწმებისას ბაკურიანის კურორტვაჭრობის ლუდის დარბაზში მზარეული ზ. არბოლიშვილი მომხმარებლს უვარგისი ხორცის კერძებით უმასპინძლდებოდა. № 13 სასურსათო მაღაზიაში მიღებული კვერცხი ორი კვირის შემდეგ კვლავ ჩამოუფასებლად იყიდებოდა. ანალოგიური დარღვევები აღმოჩნდა № 45 ნახევარფაბრიკატების მაღაზიაში და სხვა სავაჭრო ობიექტებზე.

გულსატკენია, რომ საკურორტო სეზონს მომზადებული ვერ ხვდება ბაკურიანის საყოფაცხოვრებო მომსახურების ჰიგიენის სახლი. აქ უმოქმედოდაა საშხაპეები, და ვენტილაცია. ქ. ბორჯომში 3 თვეა ჭიანურდება ერთ-ერთი აბანოს რემონტი. სიტყვა გატეხეს მშენებლებმა: მათ ვერ უზრუნველყვეს ბაკურიანის სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების საექსპლოატაციოდ გადაცემა, თუმცა ეს ორი წლის წინათ უნდა ექნათ.

მშრომელთა საკურორტო მომსახურება დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა. ეს კარგად აქვთ შეგნებული რაიონის სახალხო კონტროლიორებს. ბევრი ნაკლი უკვე გამოსწორდა, ბევრიც აღმოფხვრის პროცესშია. საკურორტო სეზონი კი უკვე დაიწყო და იმის მიხედვით, თუ რამდენად მომზადებული იქნებიან დამსვენებელთა მისაღებად, შეფასდება სწორედ ის მუშაობა, რომელსაც სხვებთან ერთად სახალხო კონტროლიორებიც ეწევიან.

ჯ. ინაშვილი,
ბორჯომის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის შტატგარეშე განყოფილების გამგე.

აფხაზეთის კურორტებს თითქმის ყოველთვის დიდძალი დამსვენებელი ეტანება. წლეულს სოხუმში, გულრიფშში, ახალ ათონში, გუდაუთაში, გაგრაში, ბიჭვინთაში, განთიადსა და ლესელიძეში განსაკუთრებით იგრძნობა ბავშვთა სიმრავლე, მოქმედებს ასზე მეტი პიონერული ბანაკი და სასკოლო გამაჯანსაღებელი ბაზა, დასასვენებელ სახლებსა და ჯანმრთელობის სხვა კერებში სტუმართა თითქმის ორმოც პროცენტს ბავშვები შეადგენენ.

ასე აღინიშნება აფხაზეთის კურორტებზე ბავშვის საერთაშორისო წელი.

ზაფხულის საკურორტო სეზონისათვის მზადების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მომსახურების სფეროს გამართული მუშაობისათვის ბრძოლას. ამ საკითხს მიეძღვნა აფხაზეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ აფხაზეთის კურორტებზე პრაქტიკულად ბევრი რამ გაკეთდა დამსვენებელთა უკეთ მომსახურებისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, გადაუჭრელი პრობლემებიც ბევრია. ამ საკითხებზე რეიდის მონაწილენი ვესაუბრეთ სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგების ხელმძღვანელებს.

ვ. კვარჭელია — აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი:

— მიუხედავად იმისა, რომ ფონდირებული საშენი მასალებით ვერ გვამარაგებდნენ, ყველაფერი ვიღონეთ იმისათვის, რომ სეზონს მომზადებული შეგხვედროდით. ამჟამად სისტემაში მომუშავე თანამშრომელთა ნახევარზე მეტი დამსვენებელთა მომსახურებით არის დასაქმებული. ობიექტების მოსაწესრიგებლად წლეულს დაიხარჯა 190 ათასი მანეთი. განვაახლეთ სპალაჟო ინვენტარი — დაიდგა საჩრდილობლები, გასახდელები, სეზონისათვის დამატებით დავამზადეთ 5 ათასზე მეტი ხის საწოლი, შევიძინეთ 70 ათასი მანეთის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების გასაქირავებელი ნივთები — მაცივრები, ტელევიზორები, ტრანზისტორები, გასაბერი ლეიბები, სხვადასხვა სპორტული ინვენტარი.

საგრძნობლად გაუმჯობესდა არაორგანიზებულ დამსვენებელთა მიღება-დაბინავება სოხუმში, გაგრაში და სხვა კურორტებზე. დამსვენებელთა შეუფერხებელი მიღებისათვის დაჯავშნულია 30 ათასზე მეტი საწოლი კეთილმოწყობილ ბინებში. თუ შარშან 380 ათასზე მეტ დამსვენებელს მოვუმსახურეთ, წლეულს ეს რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება. აქვე უნდა შევეხოთ ერთ მტკივნეულ საკითხს. საბინაო ბიუროებს თითო მიკრო-ავტობუსი მაინც რომ გააჩნდეთ, დამსვენებელთა მომსახურება უთუოდ გაუმჯობესდებოდა, სადგურებზე მათი დახვედრისა და დაბინავების უკეთესი პირობები შეიქმნებოდა. ეს საკითხი ბევრჯერ დასმულა სათანადო ორგანოების წინაშე, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოგვარდა. ხშირად შინ დასაბრუნებელი ბილეთის შესაძენად დამსვენებელს ძვირფასი დრო ეკარგება. ამ საკითხის მოგვარებაც შეიძლებოდა, ეს საქმე მომსახურების სფეროს მუშაკებს რომ დაკისრებოდათ.

ნ. ჯალაღონია — აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე:

— ჩვენი სტუმარი შინ კმაყოფილი რომ დაბრუნდეს, ეს ბევრად არის დამოკიდებული ვაჭრობის სისტემის გამართულ მუშაობაზე. სეზონისათვის მზადების პერიოდში შეკეთდა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების 200-მდე ობიექტი. მიუხედავად ამისა, ათამდე ობიექტის შეკეთება რატომღაც გაჭიანურდა.

მოწესრიგებულია საცალო სავაჭრო ქსელის ობიექტები. პლაჟებზე და დამსვენებელთა სხვა თავშესაყარ ადგილებში მოქმედებს 140-მდე ნაყინის დახლ-მაცივარი.

სასურსათო საქონლის ბაზებში, მაცივრებსა და სავაჭრო ორგანიზაციებში დასასვენებელი სახლების, ბავშვთა გამაჯანსაღებელი ბანაკებისა და სხვა ასეთი ტიპის დაწესებულებების შეუფერხებელი მომარაგებისათვის შექმნილია სასურსათო საქონლის საჭირო მარაგი. ვაჭრობის კულტურის ამაღლებას ხელს უწყობს ობიექტების უზრუნველყოფა ახალი სამაცივრო და სხვა საჭირო ინვენტარით. ამ მიზნით წელს 150 ათასი მანეთი დაიხარჯა.

გაგრაში მწყობრში ჩადგა ყოველთვის კეთილმოწყობილი სავაჭრო ცენტრი, სადაც 400 კვადრატული მეტრი სავაჭრო ფართობი და საზოგადოებრივი კვების 700 დასაჯდომი ადგილია.

დამსვენებელთა უკეთ მომსახურებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკოლმეურნეო ბაზრების გამართულ მუშაობას. ეს პრობლემა გაგრაში გადაჭრილია. შარშანწინ მწყობრში ჩადგა ახალი კეთილმოწყობილი საკოლმეურნეო ბაზარი, მაგრამ აი 10 წელზე მეტია, რაც სოხუმში შენდება საკოლმეურნეო ბაზარი და მის დამთავრებას ბოლო არ უჩანს.

საზოგადოებრივი კვების ობიექტებისათვის ზოგიერთი პროდუქტის მიწოდება ფერხდება. მაგალითად, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ობიექტებმა, სოხუმისა და გაგრის რძის ქარხნებმა მიმდინარე კვარტალში მომხმარებელს 1.200 ტონა რძე დააკლეს.

ასევე სცოდავენ საქართველოს „ხორცკარაქვაჭრობის“ გაგრის მაცივარი, რომელმაც წლეულს მომხმარებელს 160 ტონა ყველი დააკლო, და ოჩამჩირის მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელმაც 30 ტონაზე მეტი ქათმის ხორცი დააკლო.

ზოგიერთ კურორტზე რაციონალურად არ იყენებენ საზოგადოებრივი კვების ობიექტების ფართობებს. მაგალითად, გაგრის ზღვისპირა კაფე „რიფაში“ ფართობის ნახევარი დათმობილი აქვს ბარს, სადაც თავისებურ კონვეიერზეა დაყენებული მაგარი სასმელებით ვაჭრობა. კურორტ ბიჭვინთაში ჯერ კიდევ შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი 650-ადგილიანი სასადილო, მაგრამ იმის გამო, რომ გაჭიანურდა ტექნოლოგიური მოწყობილობის დამონტაჟება, დღემდე არ მოქმედებს.

დაბა ლესელიძეში გაგრის სამომხმარებლო საზოგადოებას საკონდიტრო საამქრო აქვს, აქვე ახლადგახსნილ სავაჭრო ცენტრში გასტრონომსა და სასადილო „ვესნას“ გვერდით შეიძლებოდა კაფე-საკონდიტრო მოეწყოთ, მაგრამ ამის ნაცვლად აქაურმა მესვეურებმა ბარი გახსნეს, რომელიც თავის დანიშნულებას ვერ ამართლებს, ან როგორ შეიძლება მას ბარი ეწოდოს, როცა შემოწმების დღეს აქ არავითარი კოქტეილი არ მზადდებოდა. სამაგიეროდ უხვად იყიდებოდა კონიაკი, ღვინო, შამპანური, რომელიც მენიუში არც კი იყო ნაჩვენები. დასაყოლებლად მომხმარებლებს ვადაგასულ ვაფლს და კანფეტებს სთავაზობდნენ. სანიტარიული სამსახურის მუშაკები იძულებული იყვნენ კაფე „ვესნა“ (გამგე ნ. მაისურაძე) დროებით დაიხურათ.

ანალოგიური მდგომარეობაა სამომხმარებლო საზოგადოების № 7 სასადილოში (გამგე ა. უზუნიანი), რომელიც გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზეა.

არც რკინიგზის სოხუმის სადგურის საზოგადოებრივი კვების ობიექტებშია სათანადოდ მოწესრიგებული მომსახურება.

საზოგადოებრივი კვების ზოგიერთ ობიექტში არაკეთილსინდისიერი მუშაკებიც არიან მოკალათებული. აი, თუნდაც, დასასვენებელი სახლის „აგუძერის“ სასადილო, რომელიც ყოველდღიურად ათას კაცზე მეტს ემსახურება. ამ სასადილოს გამგეს ლ. კაციას, შეფ-მზარეულს ლ. ვორონოვს, საწყობის გამგეს ო. კვირკველიას, მზარეულებს ე. დურომანოვასა და შ. ჩიკვაიძეს (სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრია) კალკულაციის მიხედვით კერძების დამზადების თავისებური გაგება აქვთ. ამიტომაც მათთვის ჩვეულებრივ ამბად იქცა ამა თუ იმ კერძის მომზადების ტექნოლოგიის დარღვევა და დამსვენებელთა მოტყუება.

დამსვენებელთა უკეთ მომსახურებაში კარგი წვლილის შეტანა შეუძლიათ ცეკავშირის, „საქკოოპსოფლმრეწვის“ გაერთიანების აფხაზეთის განყოფილების (დირექტორი — ე. ანასტასიადი) მუშაკებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება. პირიქით, ამ სისტემის ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მუშაკი ხელს ითბობს მომხმარებელთა მოტყუებით. ასე ხდება, მაგალითად, ყვავილების № 1 კიოსკში, რომელიც სოხუმის აეროპორტის ტერიტორიაზეა. ვერც გამყიდველმა ა. ნარსაიძემ და ვერც გამგემ ლ. გვილავამ ვერ აგვიხსნეს, თუ საიდან აქვთ ზედმეტი უფაქტურო ყვავილები. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ამ სისტემაში მოუწესრიგებელია ყვავილებით ვაჭრობა.

აფხაზეთის ყვავილები ბლომად იგზავნება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. ამისათვის აქ საუწყვნო სპეციალიზებული მეურნეობებიც კი არსებობს, და რაოდენ დასანანია, რომ ცეკავშირის ყვავილების მწარმოებელი ეს ერთადერთი ორგანიზაცია თავის პროდუქციას ძირითადად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გზავნის.

რეიდის მონაწილენი: ი. ბეჭვაია — აფხაზეთის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრი, საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ა. ხუნწარია — აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე, მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმი, ი. ბობეჩია „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

რაც რეიდმა გამოავლინა

ზღვის დიდი სიკეთე

საკურორტო სეზონს— მუშაობის მაღალი ხარისხი

პარტიული კრება მსჯელობს

ჩვენს კურორტს — უწერას მრავალი დამსვენებელი კმაყოფილი ტოვებს. ამაში ერთგვარი წვლილი სახალხო კონტროლის მეთაურ ჯგუფსაც მიუძღვის, რომელიც ორ ათეულამდე კონტროლორს აერთიანებს. მეთაური ჯგუფისა და მისი ოთხი საგუშაგოს წევრები სისტემატურად ამოწმებენ მკურნალობის, კვებისა და კულტურული გართობის მდგომარეობას. გამოვლინებულ ნაკლოვანებებზე საჭირო ღონისძიებათა მისაღებად საკითხს აყენებენ ადმინისტრაციისა და პარტიული ბიუროს წინაშე.

წლეულს ახალი სეზონის გახსნამდე შევამჩნიეთ, რომ ყველაფერი მოწესრიგებული არ იყო. სასადილო დარბაზის იატაკი შეკეთებას საჭიროებდა, სამონტაჟო სამუშაოები იყო ჩასატარებელი კვების ბლოკში და სააბანოში.

ნაკლოვანებათა უფრო სრული გამომზეურების მიზნით ჯგუფმა მასობრივი რეიდი მოაწყო. შემოწმების შედეგები გავაცანით კურორტის მთავარ ექიმს თ. ჯაჭილიანს და პარტბიუროს წევრებს. სამეურნეო და პარტიულმა ხელმძღვანელებმა ყურად იღეს კონტროლიორთა სიგნალები. საკითხი პარტიული კრების მსჯელობის საგანი გახდა. შეიქმნა დურგალთა ბრიგადა, შემოზიდეს საშენი მასალები, შეადგინეს სამუშაო გრაფიკი. საქმისადმი ასეთმა მიდგომამ კარგი ნაყოფი გამოიღო, მაღალხარისხოვნად და ვადაზე ადრე შესრულდა ყველა ჩამოთვლილი სამუშაო. გარდა ამისა კურორტის ტერიტორიაზე მოეწყო მსუბუქი ავტომანქანების სადგომი. სახალხო კონტროლიორების ინიციატივით ორჯერ მოეწყო შაბათობა. მუშა-მოსამსახურეებმა დაასუფთავეს სანატორიუმის ტერიტორია, კალატოზებმა აღადგინეს კანალიზაციის საკონტროლო ჭა, შეაკეთეს ბორდიურები და ტროტუარები.

წლევანდელმა თბილმა გაზაფხულმა კავკასიონის მთებში დაადჩქარა თოვლის დნობა, რის გამოც გააქტიურდა მდინარე რიონი. მდინარეს სერიოზული საფრთხე შეუქმნა ორ მინერალურ წყაროს — დაახიანა ჯებირი. კონტროლიორებმაც არ დავაყოვნეთ და გულდასმით დავთვალიერეთ ჯებირის მდგომარეობა და ვთხოვეთ დირექციას ზომების მიღება. ამის შედეგად კურორტის თანამშრომლებისა და სოფლის მცხოვრებლებთაგან შეიქმნა ბრიგადა, რომელსაც სათავეში პენსიონერი კომუნისტი ა. ჩუმაშვილი ჩაუდგა. სასწრაფო სამუშაოების შემდეგ ჯებირი გამაგრდა და წყაროებიც გადარჩა. ახლა ისინი კვლავ დამსვენებელთა სამსახურშია.

სანატორიუმ „ფაზისში“ წლების მანძილზე გაძენელებული იყო დამსვენებელთა სამედიცინო მომსახურება, ექიმ-ორდინატორები ჯერჯერობით ყურადღებას ვერ აქცევდნენ ავადმყოფთა ჯანმრთელობასა და მათ მოვლა-პატრონობას, პალატებში შექმნილი სანიტარული მდგომარეობას. მიზეზი ის გახლდათ, რომ მედპერსონალის მესაღები კაბინეტები განლაგებული იყო, არა სანატორიუმის სართულებზე, არამედ კარგა მოშორებით მდებარე შენობაში.

კურორტის დირექციამ კონტროლიორებთან ერთად იზრუნა ამ ნაკლის გამოსასწორებლად. სანატორიუმის სართულებზე ფოიეთა ერთი ნაწილის ხარჯზე მოეწყო საექიმო კაბინეტები.

მესამე წელია უწერაში ყოველ სეზონში ერთდროულად 500-მდე ბავშვი და დედა ისვენებს. ეს სიახლე, რომელიც რესპუბლიკაში პირველად ჩვენს სანატორიუმში დაინერგა, მისასალმებელი და კარგია. ცუდი ის იყო, რომ დღემდე ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა ბავშვების გართობის საქმეს.

ამ საკითხით დაინტერესდა კომკავშირული პროექტორის შტაბი. მისმა წევრებმა დირექციის წინაშე დააყენეს ბავშვთა სათამაშო მოედნის მოწყობის საკითხი. პროექტორელთა ინიციატივამ მხარდაჭერა პოვა, ახლახან სანატორიუმთან არსებული კომკავშირული ორგანიზაციის წევრთა მონაწილეობით მოეწყო ბავშვთა სათამაშო მოედანი, დამონტაჟდა კარუსელი. კომკავშირელებმა სხვა წინადადებაც წამოაყენეს ბავშვებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად, ნაკლოვანებათა გამოსავლენად.

გ. მეტრეველი,
კურორტ უწერის სანატორიუმ „ფაზისთან“ არსებული სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე.

მასების კონტროლი

სახალხო ფხიზელი თვალი

გვერდი № 148

ჯავა უნდა მოგვარდეს...

ჯავის ლამაზი ბუნება და მინერალური წყლები ყოველთვის მრავალ დამსვენებელს იზიდავს. სანატორიუმი „ძაუ“ ერთდროულად 200-მდე კაცს ემსახურება. აქ კმაყოფილი არიან მკურნალობით, კვებით, მასობრივ-კულტურული მომსახურებით, შთაბეჭდილებათა წიგნი სავსეა კეთილი სურვილებით, მადლობებით.

პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად ადმინისტრაციას მხარში უდგანან სახალხო კონტროლიორები. თერაპევტი ექიმის ლ. ჩიგოევას მეთაურობით ისინი სისტემატურად ამოწმებენ კვების ბლოკს, გაუმჯობესდა კულტმომსახურება, აღიკვეთა სამუშაოზე დაგვიანება და გაცდენა.

ჩვენი მთავარი საზრუნავი, გვეუნება ჯგუფის თავმჯდომარე ლ. ჩიგოევა, — ახლა ის არის, რომ კურორტი შეუფერხებლად მარაგდებოდეს სურსათით. ოღქში ეს ერთადერთი კურორტია და რატომღაც ძნელი გახდა მისი მომარაგება, მწვანილიც კი თბილისიდან მოგვაქვს. ცხენვალის ხორცკომბინატი საქონლის ხორცს იშვიათად გვაძლევს. ორი წლის წინათ სანატორიუმ „ძაუს“ ცოცხალი საქონლით ამარაგებდნენ. აქვე ეკვლებოდა საქონელი და დამსვენებლებსაც მუდამ ჰქონდათ ახალი ხორცის კერძები, არც ახლაა ამის მოგვარება ძნელი, დღეში სანატორიუმს სულ 60 კილოგრამი ხორცი სჭირდება. ჯავის რაიონი მეცხოველეობის რეგიონია და, თუ მოინდომებენ, ამ საქმეს ეშველება. კარგი იქნებოდა აგრეთვე თუ ჩვენს კურორტს ცეკავშირი მეტ ყურადღებას დაუთმობდა.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჩვენი რესპუბლიკის საკურორტო-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში აქტიურად მოქმედებენ სახალხო კონტროლიორები. ისინი თვალყურს ადევნებენ დამსვენებელთა მომსახურების საქმეს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ როგორია კვების მდგომარეობა, სამედიცინო, კულტურული მომსახურების საქმე. დაკისრებულ მოვალეობას კარგად ართმევს თავს ბათუმის ტურისტული ბაზის „მეხსეთის“ სახალხო კონტროლის ჯგუფი, რომლის წევრები სისტემატურად აკონტროლებენ სამზარეულოს, დამზადებულ კერძებს, სასადილოს სანიტარიულ წესრიგს. კვირაში ერთხელ ლაბორატორიულად ამოწმებენ ტურისტის ულუფას, საჭმლის ხარისხს.

სურათზე: მიმტანი ლ. სტეპანოვა, მზარეული გ. ქარჩავა, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე რ. კუზნეჩიკოვა და სასადილოს ექთანი ნ. ტკაჩევა ამოწმებენ სადილის ხარისხს.

ნ. ანასტასიევის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფოტოინფორმაცია

ფხიზელი თვალით

კოჯორი — კიკეთი

სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტში დაებადათ აზრი, რომ შეემოწმებინათ საკურორტო სეზონისათვის მზადება. მოიწვიეს აქტივი, რომელსაც სათანადო ინსტრუქტაჟი გაუწიეს გარდაბნის რაიონის სახალხო კონტროლის თავმჯდომარემ ბ. ციხელიანმა და მისმა მოადგილემ ზ. ზარნაძემ. კონტროლის ფხიზელი თვალით შემოწმდა კოჯორში, კიკეთსა და ბეთანიაში არსებული პიონერთა ბანაკების გახსნასთან დაკავშირებით სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობა.

კონტროლის არეში მოჰყვნენ ნავთობისა და გაზის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების, ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის, კოჯრის, კიკეთისა და ბეთანიის პიონერთა ბანაკები. კონტროლიორებმა ნახეს, რომ მათმა მესვეურებმა სეზონისათვის მზადების პერიოდში მოაწესრიგეს შენობები, სათავსები, ბანაკების ეზო-გარემო და ტერიტორია. მზრუნველმა ხელმა შეძლო ახალი ოთახების მიშენება, ბლოკების რეკონსტრუქცია, მაგარი და რბილი ინვენტარის შეძენა, წყლის სამარაგო რეზერვუარების მოწესრიგება, ჭურჭლის სარეცხი ჩანების, ელექტროსადუღარების, კარადა-მაცივრების საკმაო რაოდენობით მომარაგება, ბანაკების ტერიტორიის შემოღობვა-გამწვანება.

ამასთან კონტროლიორთა თვალს არ გამოეპარა ხარვეზები და ნაკლოვანებანი, რომლებიც აღნიშნულ პიონერთა ბანაკებში შეინიშნება. მათ აღნიშნეს, რომ ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის კიკეთის პიონერთა ბანაკში ძალზე უხარისხოდ არის გაკეთებული რემონტი, ზოგიერთ საძინებელში დაზიანებულია ჭერი და იატაკი, მეტად პრიმიტიულია ქალთა ჰიგიენის ოთახი, ხოლო კანალიზაცია მოუგვარებელია. კომიტეტის მუშაკთა შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის კოჯრის პიონერთა ბანაკი, რომელიც გათვალისწინებულია 340 ბავშვისათვის, სრულყოფილად არ არის მზად წლევანდელი ზაფხულის სეზონისათვის. ისიც დადგინდა, რომ ბეთანიის პიონერთა ბანაკს არა აქვს წყლის სამარაგო რეზერვუარი, მოუგვარებელია სასმელი წყლის საკითხი. მისი ხარისხი ლაბორატორიულად დაბალი აღმოჩნდა. ეს ბანაკი ზაფხულის სეზონისათვის მზად მაშინ ჩაითვლება, თუ სათანადოდ დამუშავდება წყარო, ან სასმელი წყალი შემოტანილი იქნება ცისტერნებით თბილისიდან.

სახალხო კონტროლიორებმა ჩვენთან ერთად ისიც კარგად დაინახეს, რომ საგარეუბნო კურორტს კოჯორ-კიკეთს ბევრი რამ აქვს მოსაგვარებელი, რათა წესიერად მოემსახუროს 20-22 ათას დამსვენებელს, რომლებიც ზაფხულს აქ ატარებენ. გადასაჭრელ პრობლემათა შორის დგას, მაგალითად, დამსვენებელთა მომარაგება საჭირო რაოდენობის საკურორტო ინვენტარით.

სავარაუდებელია, რომ რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა და გარდაბნის რაიონის სათანადო ორგანიზაციათა კომპეტენტური მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ კოჯრისა და კიკეთის საგარეუბნო აგარაკებზე გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად.

ს. ყურაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

დიდი სტუმრობა

წყალტუბო

წყალტუბო ერთ-ერთი უდიდესი საკურორტო ცენტრია ჩვენს ქვეყანაში; თუ გავითვალისწინებთ, რომ აქ ყოველწლიურად 100.000-ზე მეტი ავადმყოფი აღიდგენს ჯანმრთელობას, მაშინ გასაგები იქნება ამ კურორტ-ქალაქის მშრომელების, პარტიული, საბჭოთა და მაკონტროლებელი ორგანოების ამოცანების მასშტაბურობა.

ბოლო წლებში აქ აშენდა არაერთი კეთილმოწყობილი ობიექტი. გვაქვს ფინური ტიპის ჰიგიენის სახლი, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, საზოგადოებრივი კვების ფართო ქსელი. მშენებლობის პროცესშია სავაჭრო ცენტრი, მალე დაიწყება 1.000-ადგილიანი დიეტური სასადილოს მშენებლობა. ამ ფონზე კიდევ უფრო იზრდება სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტისა და მომსახურების სფეროებში დასაქმებული სახალხო კონტროლიორთა როლი და პასუხისმგებლობა.

კონტროლიორებს ერთი წუთითაც არ ავიწყდებათ, რომ საგგომო დაკალებათა გადაჭარბებით შესრულება და წყალტუბოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მიერ უკანასკნელ წლებში საკავშირო შეჯიბრებაში ხუთჯერ გამარჯვება არ იძლევა თვითდამშვიდების უფლებას.

როგორც შემოწმებებმა ცხადყო, ძირითადად დარღვევები სავაჭრო ობიექტებში გვაქვს, რაც კადრების შერჩევაში არსებული ნაკლოვანებების, თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის მოდუნების, სათანადო მატერიალური ბაზის უქონლობისა და სხვა მიზეზების ბრალია, რაც არ იძლევა ვაჭრობის პროგრესული ფორმების სრულყოფილი დანერგვის საშუალებებს. საგულისხმოა, რომ ნაკლოვანებათა ეს ჯაჭვი თვალსაჩინოა, მაგრამ არსებობს მათი დაძლევის საშუალებებიც.

უკანასკნელი ოთხი-ხუთი წლის მანძილზე ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შესუტებისათვის მარტო კურორტვაჭრობაში შეიცვალა რამდენიმე დირექტორი, დირექტორის მოადგილე, განყოფილებათა გამგეები, სარევიზიო და საკონტროლო პპარატი, მაღაზიებისა და სასადილოების გამგეები. ბევრი მათგანი პასუხისგებაში მიეცა, და მაინც სავაჭრო ობიექტებში მდგომარეობა სათანადოდ ვერ უმჯობესდება, დარღვევების დონე კვლავ მაღალია.

ჩანს, ცალკეული მაღაზიების, სასადილოებისა და კურორტვაჭრობის ხელმძღვანელთა შეცვლა დიდ სარგებლობას ვერ მოუტანს დახლთან მოსულ მუშტარს, არსებული მდგომარეობა კომპლექსურ მიდგომას და პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული და მაკონტროლებელი ორგანოების ღონისძიებათა გაერთიანებას მოითხოვს.

სამწუხაროდ, იშვიათი როდია, როცა არა მარტო ძირეულ რგოლებში, არამედ უფრო მაღალ საფეხურებზეც კი არის დაპირისპირების, დანაშაულის გადაბრალების უსიამოვნო შემთხვევები. აქ საჭიროა ძალებისა და მესაძღლობათა ერთი მიზნისაკენ წარმართვა — ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლაში განუხრელად უნდა შევასრულოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე და მერვე პლენუმების ცნობილი დადგენილებების მოთხოვნები.

წყალტუბოს სახალხო კონტროლიორებს კარგად ესმით, რომ მომსახურების სფერო მათი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ასპარეზია. ახლა, როცა ჩვენს ქალაქში სულ უფრო ხშირად ჩამოდიან საბჭოთა თუ უცხოელი ტურისტები, იხსნება ახალი ობიექტები, საკურორტო დაწესებულებები და სანატორიუმები, მშრომელთა მომსახურებაც ხარისხობრივად ახალ მნიშვნელობას იძენს და ჩვენმა ორგანოებმაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ მას.

ჩვენი კურორტი მეტ ყურადღებას მოითხოვს სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან წყალტუბოს „ხილბოსტანეკონომიკის“ მატერიალური და, რაც მთავარია, სამაცივრო-სასაწყობო ბაზის გასაფართოებლად, ხოლო ვაჭრობის სამინისტროსაგან — სავაჭრო ცენტრის მშენებლობისა და კურორტის პერიფერიებში სამრეწველო მაღაზიების გაადგილების დასაჩქარებლად. ეს კიდევ უფრო აამაღლებს მომსახურების დონეს, გააუმჯობესებს ვაჭრობას, საშუალებას მოგვცემს მეტი კმაყოფილება მივანიჭოთ აქ სამკურნალოდ ჩამოსულ ადამიანებს, დამსვენებლებს და ტურისტებს.

რ. ვაშალომიძე,
წყალტუბოს სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

კარიკატ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞᲣ ᲪᲙᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲪᲙᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡ). ᲣᲠᲓᲔᲕᲘᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ, ᲫᲛᲘᲠᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲘᲠᲘᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲐᲜ — ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲒᲤᲣᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲮᲐᲖᲡ ᲣᲡᲕᲐᲛᲡ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲜ — ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲪᲙᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲡᲘᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲠᲘᲜᲐ ᲒᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

26 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ �გᲐᲛᲝᲪᲣᲚᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲙᲪᲠᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲛᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ „ᲓᲣᲛᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲨᲘ“. ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐᲨᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲕᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲘᲠᲘᲜᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲤᲝᲚᲘᲝ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲠᲢᲤᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲠᲢᲤᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲮᲐᲡᲮᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲞᲚᲘᲤᲘᲡᲣᲠᲘ ᲞᲝᲠᲢᲤᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲠᲢᲤᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ.

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲗᲕᲔᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲣᲚ